

# ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დასი კორტუბალიაში გაემგზავრა



ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი პორტუგალიაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალ-გამოფენაზე „PATHS WITHOUT BORDERS“ გაემგზავრა სპექტაკლით - „3+3“ (მანანა დოიაშვილი, რეჟისორი ვანო ხუციშვილი) საერთაშორისო თეატრალური ფესტივალ-გამოფენა „PATHS WITH-

OUT BORDERS“ ორგანიზებული გახლავთ CTB-BRAGA თეატრალური კომპანიისა და ETA – ევრაზიის თეატრების ასოციაციის მიერ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თურქეთის, უკრაინის, პორტუ-



# ა ღ ი რ ნ ი

გურია უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .  
 ყოველკვირეული გამომცემი. № 21 (10433) 25 ივლისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

## გურიაში GITA –ს საბრანტო პროგრამების მეორე ეტაპის გამარჯვებულები ცნობილია



ოზურგეთის ტექნო-პარკში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 30 000 ლარიანი და 100 000 ლარიანი საბრანტო პროგრამის შვიდი გამარჯვებული გამოვლინდა. დონისძიებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **შზია გიორგობიანი**, გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თაღ-**

**აკვაძე** დაესწრნენ. პროგრამის მიზანია, რეგიონული სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და მათი ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში. საბრანტო კონკურსი საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.



## „ყველა დღე იმის უიუში ვართ, მძიმეწონიანმა მანქანებმა ბავშვები არ გაიტანოს“

**ალიონი.** – სოფელ ოზურგეთის ცენტრში, ხიდის ქვეშ სოფლის პროგრამების ფარგლებში ბავშვთა გასართობი მოედანი გაკეთდა. ჩვენ უბანს, რაჭის უბანს ეძახიან. უკვე მესამე თვეა, ყოველ დღე იმის შიშში ვართ, მძიმეწონიანმა მანქანებმა ბავშვები არ გაიტანოს. ყოფილი წისქვილკომბინატის ტერიტორიაზე შეაქეთ ასფალტის ნარჩენები და აბუშავებენ. ამდენი მძიმეწონიანი მანქანა ამ ხიდი ქვეშ გაივლის. გზა აღარ დაგვიტოვებს სასაფლაოსთან მისასვლელი. შვილმკვდარი დედა ვარ, სასაფლაოზე აღარ მივიდეთ? ნავაყვარელად აქციეს ჩვენი უბანი, ესაა საქმე, თქვენს გარდა არავის მოუკითხვას, რა ხდება აქ, არ უნდა მოგვხედოს ვინმემ? ალტერნატიული გზაც ხომ არსებობს? – გვითხრა თავისი გულისტკივილი სოფელ ოზურგეთელმა **მერი გოგრიჭიანმა**.



კონკრეტულ ლოკაციაზე გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელი ირმა გორდელაძესთან ერთად მივედით. ესკავატორი გზიდან აფრეხილი ასფალტის ნარჩენებს და ქვადორდს ასაწოვებდა. ჩინელები შეგვხვდნენ. როგორც კვითხრეს, ისინი ჩინეთის ხიდებისა და გზების მშენებლობის კორპორაციის წარმომადგენლები იყვნენ. მათ კონკრეტულ მშენებლობის პასუხისმგებელი პირის, ვინმე დავითის ნომერი მოგვცეს. –ახლა ხულოში ვარ, პასუხს ვერ გავცემთ. ჩემი გვარი რაში გვჭირდება? მესამე პირს

ვერც დოკუმენტს ვაძლევდით. ჩამოვალ ოზურგეთში, მობრძანდით დილის 8 საათზე და მხახუე –გვიპასუხა მან. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარა-გურიის რეგიონალური სამსახურის წარმომადგენლები გამოიძახა. შემთხვევის ადგილზე დასახელებული სამსახურის მე-2 განყოფილების უფროსი სპეციალისტი, ვგუფის უფროსი **კობა გოგმაჩაძე** და გურიის განყოფილების მე-3 განყოფილების უფროსი სპეციალისტი **შოთა პაიკიძე** გამოცხადდნენ. მათი თქმით, ისინი შესწავლიან მოსახლეობის პრე-

ტენზიებს, თ უმცა მძიმეწონიანი ავტომანქანები გზის სივრცეში ვის გამო ალტერნატიული გზით ვერ ისარგებლებენ. გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ ოზურგეთში **ბადრი თავდუშაძემ** გააკეთა კომენტარი: – მოსახლეობა ძალიან შეწუხებულია ამდენი მძიმეწონიანი ავტომანქანების მოძრაობით. თავდაპირველად სოფლის ცენტრში ახლადგებული ტაძრის გზით სარგებლობდნენ. ჩვენი მოთხოვნით სამოძრაო გზის მარშრუტი შეცვალეს, მაგრამ ამდენი წვიმებისა და მანქანების ინტენსიური მოძრაობის შედეგად გზა დაზიანდა. თანაც

ხშირად ბევრი ბავშვია გასართობ მოედანზე. ვიცი, შესაბამისი საბუთები აქვთ, მაგრამ რად-აცნაირად პრობლემა უნდა მოგვარდეს. ჩვენი კონტროლით მყარი ნარჩენები აღარ იყრება ყოფილი წისქვილკომბინატის ტერიტორიაზე. რაც დაყრილია, იმას ტრაქტორით ვასწორებთ. კარგია, გზა რომ დაიგება, მაგრამ მოსახლეობის პრეტენზიებიც გასათვალისწინებელია. როგორ არ შეუძლია კომპანიას, რომელსაც ამდენი ტექნიკა აქვს, სოფლის ერთი კონკრეტული გზა –3 00 მეტრი ვერ მოაწესრიგონ – გვითხრა მან.

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯარო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
რედაქციონი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani15@gmail.com  
558 499100  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
გიორგი გოგოლაძე  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი  
ოქმბათი აციონზე  
«ალიონი»

## ოზურგეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განახლება აქტიურ ფაზაშია



ოზურგეთში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. რეაბილიტაცია უტარდება ჭავჭავაძის, დოლიძის, ბოლქვაძისა და ფარნავაზის ქუჩებზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებს. მიმდინარე სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანი**, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ** დაათვალიერეს.

პროექტები, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, საბილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება.

„ჩვენი ერთ-ერთი დაპირება იყო, რომ ოზურგეთის ინფრასტრუქტურული და ურბანული განახლება მოხდებოდა - პირობა სრულდება, ოზურგეთი იქნება ვეროპული ქალაქი, სადაც ცხოვრება კომფორტულია. მოველით, რომ მომდევნო წლებში ბევრი ჩვენი თანამოქალაქე დაბრუნდება აქ საცხოვრებლად.“

საბილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განახლება აქტიურ ფაზაშია. დასრულდა გმირთა მოედანზე მემორიალის ალდგენაც. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერში გამარჯვებული და დაეიწეება ჭავჭავაძის ქუჩისა და ჭადრების პარკის რეაბილიტაციას, ასევე, თეატრის წინ ახალი, ვეროპული ტიპის მოედნის მშენებლობას - განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ თალაკვაძემ**.

## სოფელ ქვაბლასა და ჩხაკოურაში ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ**, საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავაძე**

ასთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

სოფელ ქვაბლასა და ჩხაკოურაში მიმდინარეობს საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები; სოფელ ჩხაკოურაში დასრულდა სტადიონის მოწყობა; ასევე, მიმდინარეობს ახალი სკოლის მშენებლობა.

## ლანჩუთში გარე ფასადების, ცენტრალური მოედნისა და სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ლანჩუთში გარე ფასადების, ცენტრალური მოედნისა და სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ქალაქში მიმდინარე სამუშაოები ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილესთან, **მზია გიორგობიანთან** ერთად დაათვალიერა.

## ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დასი კორტუბალიაში გაემგზავრა

გალიისა და იტალიის თეატრები. სპექტაკლი „3+3“ დედაშვილის, დების, ახალგაზრდა შეყვარებული წყვილის, ცოლ-ქმრის ურთიერთობაზეა. იმის შესახებ, თუ როგორ უყვართ ახლო ადამიანებს ერთმანეთი და როგორ იქცევა ეს სიყვარული ეგოიზმად ბოროტებად და დანაშაულებად.

სპექტაკლში მონაწილეობენ: თამარ მდინარაძე, ციცი ბუცხრიკიძე, ნიკა ძნელაძე, შორენა გვეტაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი.

სპექტაკლი „3+3“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპექტაკლია ოზურგეთის თეატრის რეპერტუარში და ყველა წარმოდგენა სრული ანშლაგით ჩატარდა.

5-15 ივლისს, ოზურგეთის სახ-

ელმწიფო თეატრის და ჩოხა-ტაუ-რის კულტურის ცენტრის სცენებზე მიმდინარეობდა ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც პორტუგალიიდან ქ. ბრაგის თეატრალური კომპანია მონაწილეობდა. პორტუგალიელებმა ოზურგეთის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე თომას ბერნანდის დრამა „ნიმანზე“ წარმოადგინეს, ხოლო მცირე სცენაზე რეჟისორ რუი მაღეირას საავტორო სპექტაკლი-პერფორმანსი „უძლეველი“.

პარალელურად ჩატარდა **ETA-ევრაზიის** თეატრალური ასოციაციის კონგრესი, რომელშიც პორტუგალიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

## ახალგაზრდობთან უხვედრა გაიმართა



ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით კულტურის სახლში ახალგაზრდობთან შეხვედრა გაიმართა, რომელზეც მათ წინაშე არსებულ გამოწვევებზე, იდეებზე და მომავალ პროექტებზე ისაუბრეს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

„ახალგაზრდობისგან მოვისმინეთ ის წინადადებები, რომელთა განხორციელების სურვილი აქვთ. საკმაოდ საინტერესო იდეები აქვთ და ვფიქრობთ - მათი განხორციელება

რეალურია. ვინაიდან მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებაში ჩვენი საბჭო აქტიურად ჩაერთვება, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მთავარ საფინანსო დოკუმენტში, შესაძლებლობის ფარგლებში, გაითვალისწინოთ. ასევე შევთანხმდით, რომ ვითანამშრომლებთ და ასეთი სახის შეხვედრები მომავალშიც შედგება.“ - განაცხადა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე **ვერიკო კვიციანი**.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა ფილმის ჩვენება და დისკუსია.

## „სამართლებლო - ნათეს ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები“



ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსდმთა დარბაზში საკრე-

ბულოს და მერიის სავარო მოხელეებისთვის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა - „საქართველო - ნათეს ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები“.

შეხვედრას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი **ნათია აფრეტაძე** წარუძღვა.

შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

## 8 ქუჩაზე ასფალტის საფარი იგება

ქ. ლანჩუთში, გვარჯალაძის ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგო. პროექტის ფარგლებში ქალაქში 8 ქუჩაზე (დუმბაძე, წმ. ნინო, წულაძე, გოგიაშვილი, მარჯანიშვილი, გვარჯალაძე, კუპრეიშვილის შესახვევი, ჭავჭავაძის ქუჩა) ტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ღირებულება 3 000 000 ლარია.

სამუშაოებს კომპანია „პალადა“ ასრულებს.



# ოზურგეთელი პრეკლე თავბერიძე ევროპის ჩემპიონია



ოზურგეთელი მოჭიდავე **ერეკლე თავბერიძე** (48 კგ.) ევროპის ჩემპიონი გახდა. **რეზი გუჯაბიძე** (48 კგ) და **ლუკა ფიფია** (51კგ) კი შინ ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ ჩემპიონატიდან.

ზორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ჭიდაობაში თხუთმეტწლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონატზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთი-

ანე-ბასთან არსებული ჭიდაობის სექციის (ბერძნულ - რომაული სტილი) ოთხი სპორტსმენი ასპარეზობდა. ერეკლე თავბერიძემ ნახევარფინალში თურქი მედიკ იეგინი დაამარცხა. ფინალში კი აზერბაიჯანელ საიად ნაგპიზადემ. (მწვრთნელები : ძმები ზურაბიანები, კობა ბალაენიოვი) ევროპის ჩემპიონატზე რეზი გუჯაბიძემ და ლუკა ფიფიამ ბრინჯაოს მედლები აიღეს (მწვრთნელი – კახაბერ აბაშიძე).

# ლანჩხუთში კუპუს კიბოს სკრინინგის ცენტრის მშენებლობა დაიწყო

„ამასთან დაკავშირებით დღეს, 22 ივლისს შეხვედრაზე ვისაუბრეთ. როგორც პროფესორმა **რემა ღვამიჩავამ** აღნიშნა პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნება და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი აპარატურით (ციფრული მამოგრაფი, ექოსკოპიური აპარატი) აღჭურვა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ დამფუძნებელმა **თინა ბერუჩაშვილმა**, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მხარდაჭერის შესახებ მოგვაცოცხა ინფორმაცია.

მინდა მადლობა გადავუხადო სტუმრებს აღნიშნული პროექტის



განხორციელებისთვის. ვფიქრობ, დაავადების დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. სამუშაოები 2023 წლის მაისში დასრულდება.“ –წერს ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

# აჭარის ტელევიზიას შორენა ღლონტისთვის 80 000 ლარის გადახდა დაეკისრა

აჭარის მაუწყებელიდან გათავისუფლებული **შორენა ღლონტი**, სასამართლომ ყველა ნაწილში გაამართლა - ტელევიზია ახალი ამბების სამსახურის ყოფილ უფროსს ხელფასის განაცდურს – 80 000 ლარს გადაუხდის

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების სამსახურის ყოფილი უფროსის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება, ბათუმის საქალაქო სასამართლომ უკანონოდ ცნო.

ინფორმაციას სასამართლო დარბაზიდან, აჭარის რადიოს ახალი ამბების სამსახურის პროდიუსერი, მაია მერკვილაძე ავრცელებს. სასამართლომ, ასევე უკანონოდ ცნო გათავისუფლების შესახებ მორე გადაწყვეტილებაც, რომლითაც დირექტორმა **შორენა ღლონტს** ვებგვერდის კონსულტანტის თანამდებობაზე დანიშნის შემდეგ სამთვიანი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის ბრძანება, რომლის თანახმადაც **შორენა ღლონტი** ახალი ამბების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლეს,



სასამართლომ უკანონოდ ცნო და **შორენა ღლონტი** – ერთი მაუწყებელს 80 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, ასევე უკანონოდ იქნა ცნობილი გათავისუფლების შესახებ მორე გადაწყვეტილებაც, რომლითაც დირექტორმა **შორენა ღლონტს** ვების კონსულტანტის თანამდებობაზე დანიშნის შემდეგ სამთვიანი ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. ამ შემთხვევაში, მოსამართლე ირმა ტოგონიძემ მაუწყებელს განაცდურის დაუყოვნებლივ ანაზღაურება დააკ-

ისრა. **შორენა ღლონტი** – ერთი სიტყვით, შავი ფულის ტრიალის შეთხზული ზღაპარი დასრულდა. ვილოცავ მთელი გულით“ –წერს, **მაია მერკვილაძე**.

შორენა ღლონტი წლების წინ მუშაობდა გაზეთ „ალიონში“, „გურიის მოამბეში“ ჟურნალისტად, გაზეთ „გურია ნიუსში“ საინფორმაციო სამსახურის უფროსად, მე-9 არხის რეგიონულ წარმომადგენლად.

# დაბა ურეკში ახალი ბულვარი მოეწყო

დაბა ურეკში ახალი ბულვარი მოეწყო. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში ბულვარის მოწყობის და მისი მიმდებარე ცენტრალური ქუჩების საშუალებით დაასრულა.

პროექტი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება დაახლოებით 3.1 მილიონი ლარია.

დაბა ურეკში, ბულვარის სამშენებლო სამუშაო ითვალისწინებდა ბულვარის ცენტრალური შესასვლელის რეკონსტრუქციას, საფეხმავლო ბილიკის, ცენტრალური შესასვლელის მიმდებარე მთავარი მოედნის, მცირე მოედნის, სველი წერტილების სრულ დემონტაჟს და ახლის მოწყობას. ასევე, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა თაყაიშვილის ქუჩასა და ბულვარის



დამაკავშირებელ გასასვლელებს, მოეწყო მცირე არქიტექტურული ფორმები და ბულვარის ინვენტარი, ბავშვთა მოედანი და სივრცეები სპორტული აქტივობებისთვის.

ბულვარში დამონტაჟდა გარე განათება, მოეწყო ველო-ბილიკები, მცირე მოედნები და სივრცეები ღია სეზონური კაფეებისა და კომერციული ობიექტებისთვის.

# „ბასვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის დასკვნა



2022 წლის 19 ივლისს, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი „ბასვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის დასკვნა გამოაქვეყნა. „გარემოსდაცვითი შეფა-

სების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის წარმატებულად გავლის შემდეგ ხდება გზშ-ს ეტაპზე გადასვლა, რომლის დროსაც კომპანია ვალდებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მოამზადოს, რისთვისაც საჭიროა მთელი რიგი კვლევების წარმოება და საჯარო განხილვისთვის მზადება.

„მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპზე გადავიდა ბასვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. სრულიად მზად ვართ გზშ-ს ეტაპისთვის. მდინარე ბახვისწყლის ხეობა მოგვხსენებთ, ჩვენთვის უცხო არაა. ფართომასშ-

ტაბიანი კვლევები ვაწარმოეთ ჯერ კიდევ შარშან, ბასვი 1 ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო პერიმეტრის შესწავლისას. დიდად დაგვეხმარება მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ერთიანი სტანდარტით ვაგრძელებთ მუშაობას. აქაც, ისევე როგორც სხვა პროექტებში მაღალკვალიფიციური პროფესიონალები არიან დასაქმებული ასევე, ჩართულნი არიან საერთაშორისო დონის ექსპერტები როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამირების კომპონენტში, ასევე სამშენებლო-ტექნიკურ ნაწილში. ვფიქრობ,

დროულად ჩავაბარებთ გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და შევხვდებით მთისპირის მოსახლეობას საჯარო განხილვაზე“ – განაცხადა **მიხეილ ნიბლაძემ**, „ბასვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის ხელმძღვანელმა.

„ბასვი 2 ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ჩაბარდა 2022 წლის 2 ივნისს და ოფიციალური გვერდზე გასაჯაროვდა 2022 წლის 6

ივნისს. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 22 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩატარდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა კი გამოქვეყნდა 2022 წლის 19 ივლისს.

გთხოვთ, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული განცხადება იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/435>

**დაფინანსებული ფართი**

# ღვინის ღვთაება ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორში



**გურული ვაზი- ღვთაებრივი მზის მცნარე**

შემოქმედის საჯარო სკოლაში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით: „სამოყვარულო ვენახიდან სამეწარმეო ვენახისაკენ“.

პროექტის განხორციელებაში ჩართო სხვადასხვა საგნების მიხედვით შედგენილი ჯგუფები. ისტორიის ჯგუფის წევრები გახლდათ: ნინო ჩიტაიშვილი, ლუკა ვიციანიძე, თეკლა ონიანი, ლადო ზოიძე, შოთა ვიციანიძე და საბა ვიციანიძე. ჯგუფის ხელმძღვანელი: სოფო ინგოროვა.

„გურული ვაზის ჯიშები და მისი გავრცელების არეალი“.

**ფარამოზა**

ქართველი კაცისთვის ქრისტიანობა და ვაზი განუყოფელია. ღვთისმშობელი, როცა წმ. ნინოს თავის წილხვედრ მიწაზე საქადაგებლად გაზავნიდა, „მიპყო ხელი... რტოსა მას ვენახისასა, მოპკვეთა, შექმნა ჯვრის სახედ და ქალწულს გადასცა“. ამ ჯვრით უნდა გაეკრისტაინებინა მას საქართველო. დიდი სასოებით მიიღო მოციქულთა სწორმა ვაზის ჯვარი და ნიშნად აღიქმისა, რომ ღირსეულად აღასრულებდა კურთხევას, მოიკვცა თმა და რტოები შეკრა. ჩამობრძანდა საქართველოში წმ. ნინო „ნასხლევისა ჯვრითა იქმოდა სასწაულთა საკვირველთა“.

ვაზის წარმოშობის შესახებ მყარი წერილობითი მასალები არ მოგვეპოვება. პალეონტოლოგის დარგში წარმოებული კვლევები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი ათასწლეული წლის უფროსი უნდა იყოს თვით კაცობრიობაზე. ევროპის კონტინენტზე ვაზნაირ მცენარეთა ევოლუცია და მათი დიფერენცირება გვარებად და სახეობებად ინტენსიურად მიმდინარეობდა.

ვინაიდან, მეცნიერთა ნაწილის აზრით, კულტურული ვაზის წინაპარს წარმოადგენდა ვიტისის გარეული ვაზი და იგი ამჟამად ფართოდაა წარმოდგენილი კასპიის ზღვის სამხრეთით და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ კულტურული ვაზის ერთ-ერთ ძირითად სამშობლოდ, სწორედ მოხსენიებული მხარეები უნდა იქნეს მიჩნეული.

**ღვინო- კმელი**

**ალმონაგვლის ქმეხნაში.**

საკმაოდ მდიდარი ისტორიული მასალები ვაზის კულტურის ძველ დროში წარმოშობის შესახებ მოიპოვება ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და დასავლეთ აზიის ქვეყნებში. საკმაოდ საინტერესო ისტორიული მასალები და მატერიალური კულტურის ძეგლები ძველ დროში მევენახეობის გავრცელების შესახებ, მოიპოვება ძველ ეგვიპტეში. დაახლოებით 3500-4000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მევენახეობა-მეღვინეობა ამ მხარეში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, რომ ღვინო ფარაონთა დამარხვის პროცესში იმდენად დიდ როლს

ასრულებდა, რომ მიცვალებულს საფლავშიც კი ატანდნენ, განსაკუთრებით წითელ ღვინოს. მევენახეობა განვითარებული ყოფილა სირიაში, ბაბილონში, ფინიკიაში, საბერძნეთში, რომში. ცოტა მოგვიანებით არქეოლოგიური კვლევა ძიების შედეგად ირაკვეთა, რომ მევენახეობა რომაელების მიერ გავრცელდა მის სამფლობელოებში: ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში...

**საიდან იწყება ქართული ვაზის ისტორია**

ჩვენს ქვეყანაში, ვაზის კულტურის ისტორია დაკავშირებულია ქართველი ერის ისტორიასთან. საქართველოს მევენახეობის დასაწყისი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ჩვენთან ვაზის მდიდარი აბორიგენული ასორტიმენტია. ზოგიერთი მონაცემებით საქართველოში 500 - მდე ვაზის ჯიშია გავრცელებული.

ქართულ ვაზს უძველესი ისტორია აქვს. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ყურძნის წიპწები, რომელიც ძვ.წ.7-6 ათასწლეულებს განეკუთვნება და ენეოლითური პერიოდით თარიღდება. ანაკლიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის დროს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და მას საკმაოდ დიდი როლი ეკავა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ძველისძველია აგრეთვე ღვინისთვის განკუთვნილი თიხისა და ვერცხლის ჭურჭლები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. მათზე შესრულებული იყო ვაზის ფოთლების და ყურძნის მტკვნების გამოსახულებები. ჭიქი და სხვაი საღვინე ჭურჭელი მოხსენიებულია „ხელმოწივის კარის გარეგანაში“.

მევენახეობის განვითარების საწყისები საქართველოს ტერიტორიაზე ნათლადაა წარმოდგენილი ნეოლითისა და ენეოლითის ეპოქაში. არქეოლოგიური მასალის მიხედვით მომდევნო ბრინჯაოს ხანაში საქართველო ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს, მეტალურგიისა და მესაქონლეობის მძლავრ განვითარებასთან ერთად ვითარდება მევენახეობა-მეღვინეობა, ამის დამადასტურებელ მავალითს გვაძლევს თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა, ამ პერიოდის არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის გამოირჩევა თრიალეთის ოქროსა და ვერცხლის საღვინე თასები, თიხის ჭურჭლები და ყურძნის წიპწები.

**გურული ვაზის ჯიშები**

მევენახეობას დასავლეთ საქართველოში უსსოვარი დროიდან მისდევნენ. გურიაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სამი სასოფლო-სამეურნეო ღვინო: მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა. ჩვენი კუთხე გამოირჩევა ვაზის აბორიგენულ ჯიშთა მდიდრობით. აქ 64-მდე ადგილობრივი ჯიშია დაფიქსირებული. ზოგი წყარო კი, ვაზის 59 ჯიშს ასახელებს გურული კა-

ცი ხალისით ეკიდება მევენახეობას. ხალხური ფოლკლორის მიხედვით რიგი მაგალითები ადასტურებენ მევენახეობა-მეღვინეობის მდიდარ ისტორიულ წარსულს. ადგილობრივი ჯიშებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ჩხავერი, ჯანი, ბადავი, საკმელა, ბახეას ყურძენი, ორონა, ორონა შემოქმედის, ძელმავი, ხემსუ, აკილო, მტკვანდილი, ჭუმბუტა, კორძანა, კორცხანა, კუმუმა, ხარისთვალა, ღორისთვალა, ცხენისძიბუტე, მტრედისხევა, წითლიანი, შავყურძენა, ხარდანი, სამჭაჭა, ბადავი, ალადასტური, კამური, ოცხანური, თეთრი, ღონდლო, თითა, მწვანე, თეთრიშა, სამჭრე, ათინაური, კლარჯული, ზენათური, მაური, კაპისტონი, თქვლაფა, კანტელა, კიკანა თეთრი და შავი, მისა, მტკვანდილი, ოფოურა, ოჯალეში, მცვივანი, რცხილი, სხილათუბანი, ცისფერული და სხვ.

მარანს გურიაში საკრალიზებული დატვირთვა ჰქონდა. ეუზოში, ხეებით შემოფარგულულ ადგილას ჭურები იყო ჩაყრილი. ქალს, ისე, როგორც საკურთხეველში, ეკრძალებოდა მარანში შესვლა და ჭურვიდან ღვინის ამოღება. კაცის არყოფნის დროსაც კი. ამ დროს ქალს მეზობლის კაცი უნდა მოეყვანა ჭურვიდან ღვინის ამოსაღებად.

მიელს გურიაში მალღარი ვენახი იყო. ვაზს დიდი შრომა არ სჭირდებოდა. ის გამებული იყო მაღალ, ძირითადად თხემლისა და თუთის, ხეებზე. მხოლოდ თუ შემობარავდნენ და ზოგჯერ გასხლავდნენ, თორემ სხვა მოვლა არ სჭირდებოდა.

**ვაზის გავრცელების არეალი გურიაში**

ვაზი ყველაზე მეტად იყო სოფლებში გავრცელებული, შემოქმედი, ღვინაური, ხილისთავი, ერკეთი, დაბლაციხე, საჯავახოს მხარე, საჭამიასერი, ბახეის ზონა (ბახეი, ასკანა, ბაღდადი). მექვევრეობის კერა იყო აცანა-აკეთის მხარე.

**ჩხავერი, ჯანი**

ჩხავერი გურიის სიამაყეა. ცნობილი ფაქტია, რომ სტალინის საყვარელი ღვინო სწორედ ჩხავერი იყო. ამისთვის შეიქმნა 1929 წელს, ადგილის გულდასმით შერჩევის შედეგად, ბახეის ჩხავერის სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობა. ასეთივე მეურნეობა არსებობდა საჭამიასერში. „გურული კაცის საზრიალობა და შრომისმოყვარეობა, მაღლიანმა მიწამ და კეთილშეზავებულმა კლიმატმა შექმნეს მსოფლიო მევენახეობის შედეგად — ჩხავერი, რომელიც ნებისმიერი ერი იამყებდა. ამ დღის ვაზის ჯიშს საქართველოშიც და გენუბათ, მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლილია“.

გურული ყურძნის ჯიშებიდან ერთ-ერთ ყველაზე ძვირფასად ითვლებოდა ჯანი, რომელიც დაბალმოსავლიანი ჯიშია, მაგრამ მაღალიხარისხის ღვინო ღვებების ნახია, არმატული, მაღალხარისხის ღვინო და გემური თვისებებით გამოირჩეული ჯიშია.

### საწინააღმდეგო - ქართული მარანი აბრიაშის

პროექტის ფარგლებში დაინტერესდით ჩვენს სოფლის ერთ-ერთ უბანში გონებისკარში არსებული უძველესი ქვის საწინააღმდეგოს შესახებ. სოფელ შემოქმედის მკვიდრმა, ისტორიკოსმა გივი ვიორგაძემაც მოგვითხრო ამ ძველის შესახებ. ვეცადო, გვენახა ეს უძველესი ნივთმტკიცება იმისა, რომ გურულები ძველთაგანვე მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას.

სოფელ შემოქმედში ცხემლისხილისკენ, შემადლებულ ადგილს უწოდებენ „მესხების უბანს“... „მესხური ტომის მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიდამოებში ძვ. წ. მე13-მე12 საუკუნეებში ქონია ადგილი, აქედან შესაძლებელია, რომ „მესხების უბანში“ ნაპოვნი კლდეში ნაკვეთი საწინააღმდეგო მე-

წ. მე-12 საუკუნით თარიღდებოდა — წერს ისტორიკოსი ე. გოგუაძე. ამ ქვის საწინააღმდეგოს ზომები ასეთია: სიგრძე 6 მეტრია, სიგანე- 1 მეტრი, სიღრმე-80 სმ.

ქვის საწინააღმდეგო, სოფელი შემოქმედი.

საწინააღმდეგოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელი ჰქვია, ქართლ-კახეთში — ნაგი; რაჭაში — ხორგო და ჩაჭრილი; იმერეთში — საწინააღმდეგო; გურიაში და სამეგრელოში კი ოჭინახი, ჯირაქვა. მოკრეფილი ყურძნით სავსე გოდრებს საწინააღმდეგოში ჩაყრიდნენ და იწყებოდა დაწნევის პროცესი, რომელიც ერთგვარი „ქორეფრეა“ იყო. ის სიცოცხლის მარადიულობას განსახიერებ-



და. საწინააღმდეგო უნდა ყოფილიყო ქვითკირის ან ხის მორის. უპირატესობა ცაცხვის ხისგან დამზადებულ საწინააღმდეგოს აქვს, რადგან მას არ აქვს სუნი და გემო, რაც უარყოფითად იმოქმედებს ღვინის ხარისხზე.

### ვაზი-ქართული კაცის მკონიმიკური კლიმატის საფუძველი

მევენახეობა-მეღვინეობა ქართველი კაცის ეკონომიკური ძლიერების საფუძველი იყო. ეს კარგად იცოდა მომხდურმა, ამიტომ დამპყრობლები საქართველოს ეკონომიკურად დასუსტებულად თავიანთ ლაშქარს ვენახის გაჩვენას ავალბებდა. ასე მოიქცა მე-14 საუკუნის დამღვეს თემურ ლენგი და მე-17 საუკუნის დამღვეს შაჰ-აბასი.

ვაზი ერის სიმბოლოდ, წმინდა ხედ იყო აღიარებული. მეურნე კაცი ვაზზე შეიძლება ზრუნავდა. ქართველი კაცი შეიძლება შეგუებოდა გაპარტახებულ სოფლებს ცინეთა ნანგრევებს, მაგრამ ვაზსა და ღვინოს ვერ დათმოდა, რადგან ის ღვინის რქესავით იყო შესისხლხორცებული მასთან. მტრისგან განიხნული ქართველი კაცი, როცა უბრუნდებოდა მამაპაპისეულ ადგილს ისევ ადადგენდა ხელზე ვაზს ნავენახარზე. „ვაზს ზომ არაფერი გასჭირვებია“ ასე კითხულობდნენ ადრე საქართველოში ერთუთის მოკითხვის შემდეგ. ასე გაუძლო ქართულმა ვაზმა საუკუნეებს და ქთველი კაცისა და მიწის უკვდავება გამოხატა.

„ვაზს რომ შეება მოხდური, გაჩება ცრემლი ადინა მაგრამ ფესვი ვერ მოუსპო, ვერ ამოთხარა ადვილად ვაზმა კვლავ გაიმრიალა, ვით ქართლის ღვინის მანდილმა მიხვდა რომ საქართველოს ვერ დაიპყრობდა ადვილად“ ხალხური

**პირველი ქართული ღვინო, რომელიც საქსპორტოდ გავიდა ევროპის ბაზარზე, გურული იყო.** ეს XIX საუკუნის 30-იან წლებში განახორციელა გურიაში დასახლებულმა ინგლისელმა აგრონომმა იაკობ მარმა.

ადგილობრივი ვაზს მე-19 საუკუნის შუა წლებში ჭრამა და 1870-80-იან წლებში ნაცარმა დიდი დარტყმ აძიყენა. გურულებმა მასობრივად დაიწყეს ადესას („იზაბელა“) გაშენება. ამ ვაზის ნერგები 1840-იან წლებში მუფისნაცვალ ვორონცოვის ინიციატივით ქალაქ ოდესიდან ჩამოიტანეს და ოზურგეთის

ბაღში საცდელად დარგეს. 1890-იანი წლებისთვის ადესას თითქმის განდევნილი ჰქონდა ძველი გურული ვაზის ჯიშები.

### მეღვინე გურულები

გურულებს გვეყავა სახელოვანი მეწარმეები. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ **ერმილ ნაკაშიძე** — სოფელ მაკანეთიდან. მან განათლება პოლონეთში მიიღო. სწავლის დასრულების შემდეგ, 1886 წელს, ნაკაშიძე დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში. 1892 წელს დაიკავა აგრონომ-ინსპექტორის თანამდებობა „ფილოქსერასთან“

მებრძოლ კავკასიის კომიტეტში“, რომელიც ახელმწიფოს მიერ დაარსებული დაწესებულება იყო და მიზნად ადგილობრივი მევენახეობის გადარჩენას ისახავდა. 1929 წელს მან გამოაქვეყნა წიგნი „მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში.“

მან პირველმა აღძრა საკითხი, ვაზს-ნილიყო ოზურგეთში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ამისთვის პროექტი და სასწავლო პროგრამაც შეიმუშავა. მისი პროექტის მიხედვით სასწავლებელში მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეხალეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა და მეხმინდერობა უნდა ესწავლებინათ.

ცნობილი გურული მეწარმე იყო **სოლომონ ჭეიშვილი**. მან სამეწარმეო განათლება საფრანგეთში მიიღო. იქედან ჩამოიტანა დანადგარები და სახლში მოაწყო მინი ქარხანა. სოლომონი ღვინის მუხის დიდ კასრებში 5 წლის მანძილზე აძველებდა, წელიწადში ორჯერ გადაღებით, შემდეგ ასხამდა სქელ ბოთლებში და ინახავდა გრილ მარანში. ღვინოები გამომირჩეოდა მაღალი გრადუსით, არმატით და სურნელით. ჭეიშვილის ღვინოები „ასკანის ნატურალური ღვინო“ ერქვა. 1911 წელს ღვინის როსტოვის მოწყობილ-სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო-ამოფენაზე მან 1903 წლის მოსავლის ასკანური ღვინო წარადგინა. ღვინოს ვერცხლის დიდი მედალი და სპეციალური დიპლომი მიენიჭა.

**დიმიტრი ბაქრაძე თავის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიაში და აჭარაში“ ამბობს: გურიის სოფელ შემოქმედში გიორგი ღვინაძის შვილები, ის 90 წლის მღვდელი იყო, მაგრამ საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა, მოხუცმა მას მოუყვა „შანთითა და მღუღრით დანაშაულის დასჯა საყოველთაოდ გავრცელებული საშუალება იყო. მხოლოდ სერიოზული დანაშაულის, მკვლელობის, ტყვის გაყიდვის და სხვათა გამოსამფლავებლად. შანთს სამჯერ გაასურებდნენ ვაზის და არა სხვა რომელიმე ხის ნაკვერჩხალზე.**

### არამატყარიალური კულტურული მემკვიდრეობის კმეხლის სტატუსი

ქართველების საამაყოდ უნდა ითქვას, რომ 2013 წელს ქვეყრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს ოუნესკომ არამატყარიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

# გენრიეტა ქუთათელაძეს „პერსონა - 2022“-ის ტიტული მიენიჭა.

პრემიის, პროზაიკოსს, ჟურნალისტს გენრიეტა ქუთათელაძეს ალექსანდრე მარტოვილიშვილის საერთაშორისო საზოგადოების წარდგინებით „პერსონა - 2022“-ის ტიტული მიენიჭა.



„საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონია პერსონა წარმოვიდგინეთ „პერსონა 2022“-ის ტიტულზე პოეტს პროზაიკოს გენრიეტა ქუთათელაძეს.

ქალბატონი გენრიეტა ქუთათელაძე წარდგინდა ალექსანდრე მარტოვილიშვილის საზოგადოების მიერ, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი ლელა ქართველიშვილი

გენრიეტა ქუთათელაძე—პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი. საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი, 20-მდე პოეტური, პროზაული და პუბლიცისტური კრებულის ავტორი და ათი პოეტური კრებულისა და ანთოლოგიის თანავტორი, იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცე-

მებში, თარგმნილია რუსულ და თურქულ ენებზე.

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოებულია ღირსების მედლით, ქართული კულტურის ამბავების წილებით, არის ნიკო ლორთქიფანიძისა და ზურაბ გორგილაძის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. გამოირჩევა საზოგადოებრივი საქმიანობით. წლების მანძილზე იყო ხელვაჩაურის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, 21 წელი კი ამავე რაიონში მოქმედი რაიონული გაზეთის მთავარი რედაქტორი. სხვა-დასხვა წლებში მუშაობდა ოზურგეთსა და ბათუმის გაზეთებისა და ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქციე-

ბში ავტორია ასობით პუბლიკაციის. ამჟამად კანადის ქალბატონი ლიტერატურული საქმიანობას, აქვეყნებს თავის ნაწარმოებებს ჟურნალებსა და გაზეთებში. მკითხველის სიყვარულითაა გარემოსილი, იწყვეტ შეხვედრებზე.

ამ დღეებში 79 წლის ზღურბლს გადააბიჯებს და მკითხველს ახალი წიგნს პირადობა, „რეკვიემი დენილ-თათის“ რომელიც გამოსაცემად მზად აქვს—წერია წარდგინებაში.

ქალბატონმა გენრიეტა ქუთათელაძემ 60-იანი წლებში წარმატებით მოღვაწეობდა გურიის რეგიონულ გაზეთში.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ გენრიეტას ამ დიდ აღიარებას.



მალვინა თოიძე, აფთონ გურგენიძე, გენრიეტა ქუთათელაძე, გიზო ჭელიძე, მიხეილ შავიშვილი—ლიტერატურული გართიანების პრეზიდენტის სხდომაზე, 1963 წ.

\* \* \*

დღიხანა ჩაიარა ჩემმა მატარებელმა, ფეხით მიუყვები ვზას ქალაქისკენ. აგერ ზღვაც მოჩანს... გადაუფრინეს ზღვას თოლიებმა ხავილ-ხავილით. ეს ხმა მამინებს... ქუჩებს აწყვება მათი გუნდი, ფრთა დაღლიათ ქარიშხალს გამოქცეულებს... ვაი, ამ ფრთონას თუ გადავურჩით. ტაძრის ვზას ვეძებ, ძლივს მივაგენი, აგერ ტაძარიც. მრევლი არსად ჩანს, ხატი უსანთლოდ შეწუხებულა და თითქოს ტირის... ჩიტები კი, ჩიტები, ფრთაშალი ჩიტები, მოფრენილი უცხო ქვეყნიდან, აქეკლესიის ეზოში, ხიდან ხეზე დაფრინავს ლაღად და როგორც ჩვენში ჩვევით, რახან უცხოა, მოსწონთ გალობა მისი. მეტი ყველას მირჩენია ბელურა— ჩემი აივნის სტუმარი ჩიტო. მერე რაა, რომ პატარაა და ნაცრისფერი, სამაგიეროდ, ხმა აქვს წრფელი, ის ამ ზამთარშიც არ მიმატოვებს. \* \* \*

